

ქირითაღი თემაჰი  
HEADLINES

IIA  
GEORGIA

კვირის ღაიჯანჰი  
WEEKLY DIGEST

No 16.02.2020 523

საქართველოს ეკონომიკა  
5.2%-ით გაიზარდა

Georgia's economy grew by 5.2%

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და აზერბაიჯანის ეკონომიკის მინისტრმა ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის ძირითადი საკითხები განიხილეს

Prime Minister of Georgia, Minister of Economy of Azerbaijan discuss major issues of bilateral economic cooperation

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ისრაელის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე

National Tourism Administration at Israel International Tourism Fair

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია დონორ საერთაშორისო ორგანიზაციასთან USAID-თან მჭიდრო თანამშრომლობას აგრძელებს

The National Tourism Administration continues to work closely with the USAID donor organization

აჭარის არ-ის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საპსუხო ვიზიტი საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციაში

Visit of Chamber of Commerce and Industry of Ajara to International Investors Association of Georgia

საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის ვიზიტი საქართველოს გენერალურ კონსულთან

Visit of the International Investors Association of Georgia with the Consul General of Georgia

2020 წლის იანვარში, საქართველოს ტურისტების რეკორდული რაოდენობა ეწვია

In January 2020, a record number of tourists visited Georgia



2020 წლის იანვარში საქართველოს საერთაშორისო მოგზაურთა და ტურისტთა რეკორდული რაოდენობა ეწვია. 2020 წლის იანვარში საქართველოში საერთაშორისო მოგზაურთა ვიზიტებმა 633 ათასს გადააჭარბა და წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 19.8%-ით გაიზარდა, უშუალოდ ტურისტული ვიზიტების ზრდამ კი +18.9% შეადგინა. მზარდია ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობა. იანვარში ზრდის კუთხით გამოირჩეოდნენ: იტალია +133.1%, პოლონეთი +82.9%, საფრანგეთი +46.8%, ლიეტუვა +43.7% და სხვ. წინასწარი მონაცემებით, 2020 წლის იანვარში საქართველომ საერთაშორისო ტურიზმიდან 193 მილიონი აშშ დოლარის შემოსავალი მიიღო, რაც წინა წლის იანვართან შედარებით 29 მლნ აშშ დოლარით ანუ 17.6%-ით მეტია. 2019 წელს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ საერთაშორისო მედიის ასობით წარმომადგენელს უმასპინძლა, შედეგად 1500-მდე სტატია, სიუჟეტი და გადაცემა მომზადდა. ადმინისტრაციის ორგანიზებით 2019 წელს 300-მდე მოწინავე უცხოელი ტურ-ოპერატორისთვის მოეწყო 22 გაცნობითი ტური. საქართველოს შესახებ სარეკლამო კამპანია ჩატარდა CNN-ზე, National Geographic-ზე, Google-ზე, Expedia-სა და Conde Nast Traveler-ზე. Wizz Ai-ის, Qatar Airways-ის, Emirates-ის საბორტე ჟურნალებში საქართველოს შესახებ გამოქვეყნებულ სტატიებზე წვდომა 15 მილიონ მგზავრს ჰქონდა.



In January 2020, a record number of international travelers and tourists visited Georgia. In January 2020, the number of international travelers to Georgia exceeded 633,000 and increased by 19.8% compared to the same period of the previous year, with an increase of + 18.9%. The number of international travelers from EU countries is increasing. In January, the growth rates were as follows: Italy + 133.1%, Poland + 82.9%, France + 46.8%, Lietua + 43.7% and others. According to preliminary data, Georgia received \$ 193 million in international tourism revenue in January 2020, up 17.6% from \$ 29 million a year earlier. In 2019, the National Tourism Administration hosted hundreds of international media representatives, resulting in nearly 1,500 articles, stories and programs. The administration organized 22 introductory tours for 300 advanced foreign tour operators in 2019. Advertising campaigns on Georgia were conducted on CNN, National Geographic, Google, Expedia and Conde Nast Traveler. Wizz Ai, Qatar Airways, Emirates onboard articles about Georgia had access to 15 million passents.

## საქართველოს ეკონომიკა 5.2%-ით გაიზარდა

2019 წლის ეკონომიკური ზრდა მოსალოდნელზე მაღალია და 5.2%-ს გაუტოლდა. 2019 წლის დასაწყისში საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზით, საქართველოს ეკონომიკური ზრდა მხოლოდ 4.6%-ს შეადგენდა. ეკონომიკურ ზრდას შეუწყო ხელი საგარეო ვაჭრობის გაუმჯობესებამ - 2019 წლის ექსპორტის მოცულობამ რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ რეკორდულია 2020 წლის იანვრის ექსპორტის მოცულობაც. მზარდია ტურისტების რაოდენობა და ტურიზმიდან შემოსავლებიც. საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 2020 წლის იანვარში დადებითი შეფასება მისცა საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და სტრუქტურულ რეფორმებს. ფონდის შეფასებით, საქართველოს ეკონომიკის ზრდა კვლავაც მყარია და 2020 წელს წინასწარი პროგნოზი 4.3%-ს შეადგენს, სავალუტო ფონდის აცხადებს, რომ ინფლაცია მიზნობრივ მაჩვენებელს წლის ბოლოსთვის მიაღწევს. 2019 წელს ეკონომიკური ზრდა იყო საკმაოდ დივერსიფიცირებული. პოზიტიური ტენდენციები ფიქსირდებოდა მთელი წლის განმავლობაში როგორც მრეწველობის, ისე სერვისების მიმართულებით. რეალური ზრდის მაღალი ტემპი დაფიქსირდა გადამამუშავებელი მრეწველობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის, სასტუმროების და რესტორნების, კავშირგაბმულობის და სხვა სფეროებში. სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, ეფექტიანი რეფორმები და ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებული ფისკალური პოლიტიკა ხელს უწყობს კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობას და ეკონომიკურ აქტივობას ქვეყანაში.

## საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და აზერბაიჯანის ეკონომიკის მინისტრმა ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის ძირითადი საკითხები განიხილეს

საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის დადებითი დინამიკა და ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობის ძირითადი მიმართულებები იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრ მიხეილ ჯაბაროვის შეხვედრის მთავარი თემა. აღინიშნა, რომ ქვეყნებს შორის სწრაფად ვითარდება ვაჭრობა და ორმხრივი ინვესტიციები, ასევე - თანამშრომლობა ენერგეტიკული დერეფნების მიმართულებით, ლოგისტიკისა და ტრანსპორტის სფეროში. ყურადღება გამახვილდა ახალ ინიციატივებზე, რომელიც საპორტო ინფრასტრუქტურის, თავისუფალი ინდუსტრიული ზონების განვითარების, ელექტროენერჯის იმპორტისა და ტრანზიტის მიმართულებით საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის თანამშრომლობას გულისხმობს. ხაზი გაესვა სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელობას და ორ სახელმწიფოს შორის არსებული ურთიერთგაგების მაღალ დონეს, რაც ორმხრივი საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა. აღინიშნა, რომ წარმატებული ეკონომიკური ურთიერთობები გაგრძელდება, რამდენადაც ტრანსპორტის, ტრანზიტის, ლოგისტიკის, კავშირგაბმულობისა და ენერგეტიკის სფეროებში ახალი ერთობლივი პროექტების განხორციელება იგეგმება. აზერბაიჯანის ეკონომიკის მინისტრის საქართველოში ვიზიტი დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტ ილჰამ ალიევის შეხვედრის გაგრძელებას წარმოადგენდა, რომელზეც მხარეებმა

## Georgia's economy grew by 5.2%



Economic growth for 2019 is higher than expected and equals 5.2%. At the beginning of 2019, the IMF forecasts that Georgia's economic growth will be only 4.6%. Growth in foreign trade has contributed to economic growth - export volume for 2019 has reached a record high. It is noteworthy that the export volume of January 2020 is also record. There is a growing number of tourists and tourism revenues. In January 2020, the IMF gave a positive assessment to economic processes and structural reforms in Georgia. The Fund estimates that Georgia's economic growth remains robust, with a preliminary forecast of 4.3% in 2020, with the IMF saying inflation will reach its target by the end of the year. In 2019, economic growth was quite diversified. Positive trends were observed throughout the year in both industry and services. Real growth has been high in the processing industry, transport, trade, hotels and restaurants, communications and more. A stable macroeconomic environment, effective reforms and fiscal growth-oriented fiscal policies promote the competitiveness and economic activity of the private sector in the country.

## Prime Minister of Georgia, Minister of Economy of Azerbaijan discuss major issues of bilateral economic cooperation



positive dynamics of economic cooperation between Georgia and Azerbaijan and the main directions of the strategic partnership between the two countries were the main topic of the meeting between the Prime Minister of Georgia Giorgi Gakharia and the Minister of Economy of the Republic of Azerbaijan Mikheil Jabarov. It was noted that trade and bilateral investment between the two countries is developing rapidly, as well as cooperation in the field of energy corridors, logistics and transport. The focus was on new initiatives aimed at cooperation between Georgia and Azerbaijan in the areas of port infrastructure, development of free industrial zones, import of electricity and transit. The importance of the strategic partnership and the high level of mutual understanding between the two countries were emphasized, which allows for the efficient resolution of bilateral issues. It was noted that successful economic relations will continue as new joint projects in the fields of transport, transit, logistics, communications and energy are planned. The visit of the

ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის დღის წესრიგში არსებული მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს. მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანია „სოკარის“ პრეზიდენტი როვნაგ აბდულაევი, აზერბაიჯანის რკინიგზის თავმჯდომარე ჯაეიდ გურბანოვი, ბაქოს პორტის გენერალური დირექტორი ტალეკ ზიადოვი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დურსუნ ჰასანოვი, ხოლო საქართველოს მხრიდან - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ზურაბ პატარაძე, საერთაშორისო საკითხებში პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ირაკლი ჩიქოვანი და „საქართველოს რკინიგზის“ გენერალური დირექტორი დავით ფერაძე ესწრებოდნენ.

**ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ისრაელის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე**



ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ თელ-ავივში საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში „International Mediterranean Tourism Market 2020“ მიიღო მონაწილეობა. IMTM-ის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე ბათუმი 2020 წლის მიმზიდველ ტურისტულ მიმართულებად დასახელდა. კონკურსი ისრაელის უდიდესმა ტურისტულმა პორტალმა lametayel მოაზადა. ახლო აღმოსავლეთში ერთ-ერთ უდიდეს გამოფენაზე ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია და 13 კერძო კომპანია იყო წარდგენილი. გამოფენის გახსნას ისრაელში საქართველოს ელჩი დაშა ჟვანია დაესწრო. გამოფენაზე სტუმრებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ საქართველოს ტურისტულ მიმართულებას და დაეგემოვნებიათ ქართული ღვინო. IMTM-ის გამოფენას 60-მდე ქვეყნის 1800-ზე მეტი ტურისტული კომპანია და 30 000-ზე მეტი სტუმარი დაესწრო.

**ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია დონორ საერთაშორისო ორგანიზაციასთან USAID-თან მჭიდრო თანამშრომლობას აგრძელებს**

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის წარმომადგენლებთან და Solimar International-ის ექსპერ-

Azerbaijani Minister of Economy to Georgia within the Davos World Economic Forum was the continuation of the meeting between the Prime Minister of Georgia George Gakharia and the President of the Republic of Azerbaijan Ilham Aliyev, where the sides discussed important issues on the agenda of bilateral economic cooperation. The meeting of the Azerbaijani state oil company “Socar” Rovnag Abdullayev, Azerbaijan Railways head Javid Gurbanov, director general of the port of Baku taleh ziadovi, Ambassador Extraordinary and Plenipotentiary of Dursun Hasanov, and from the side - the Economy and Sustainable Development Mrs. Turnava the Ministry, Ambassador Extraordinary and Plenipotentiary Ambassador to Azerbaijan Zurab Pataradze, international affairs advisor of Prime Minister Irakli Chikovani and “Georgian Railway” was attended by Director General David Peradze.

**National Tourism Administration at Israel International Tourism Fair**



The National Tourism Administration of the Ministry of Economy and Sustainable Development has participated in the International Tourism Tourism Market 2020 in Tel Aviv. At the IMTM International Tourism Fair, Batumi has been named as an attractive tourist destination for 2020. The contest was prepared by Israel’s largest tourism portal lametayel. One of the largest exhibitions in the Middle East was presented by the Department of Tourism and Resorts of Adjara, Imereti Destination Management Organization and 13 private companies along with the National Tourism Administration. The opening ceremony of the exhibition was attended by the Ambassador of Georgia to Israel Lasha Zhvania. At the exhibition visitors had the opportunity to get acquainted with the tourist direction of Georgia and taste Georgian wine. The IMTM exhibition was attended by over 1800 travel companies from over 60 countries and over 30,000 guests.

**The National Tourism Administration continues to work closely with the USAID donor organization**

The Georgian National Tourism Administration is holding workshops with representatives of the USAID Economic Security Program and experts from Solimar International in

ტებთან ერთად ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრებს მართავს. ტურიზმის სამოქმედო გეგმის განხილვას დაეწრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მარიამ ქვრივიშვილი. „ჩვენ მოხარულები ვართ, რომ დონორი ორგანიზაცია USAID- ის მხარდაჭერით ვიწყებთ ძალიან მნიშვნელოვან პროექტს, რაც შეეხება ტურიზმის სამოქმედო გეგმის განახლებას და ახალ გამოწვევებზე მორგებას. აღნიშნულ პროცესში ერთად ვმუშაობთ კერძო სექტორთან ერთად. ჩვენ შევიმუშავეთ ის მონახაზი, რომელიც დაგვეხმარება როგორც სახელმწიფო უწყებას, ისევე როგორც ტურიზმში ჩართულ კერძო სექტორის წარმომადგენლებს, რომ ერთიანად განვახორციელოთ ის სამოქმედო გეგმა, რომელიც ჩვენს ქვეყანას მიიყვანს დასახულ მიზნამდე, რაც გულისხმობს ტურიზმის განვითარებას, მეტი მხარჯველუნარიანი ტურისტების შემოყვანას და სწორ პოზიციონირებას საქართველოს, როგორც აქტიური ტურისტული მიმართულება საერთაშორისო ტურისტულ არეალზე.“-განაცხადა მარიამ ქვრივიშვილმა. საქართველოში ტურიზმის განვითარების პრაქტიკული რჩევების გაცემისა და კონკრეტული აქტივობების დაგეგმვის მიზნით, სამუშაო შეხვედრების ფარგლებში შეიქმნა თემატური ჯგუფები: სტატისტიკის, მარკეტინგისა, პროდუქტის განვითარების და სერვისის ხარისხის მიმართულებით. სამუშაო შეხვედრებს კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ. “USAID-ის უსაფრთხოების პროგრამის მიზანი 2020-25 წლების ტურიზმის სამოქმედო გეგმის განხორციელებაში დახმარების აღმოჩენაა. ჩვენ ვმუშაობთ ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან, სხვადასხვა სამთავრობო უწყებებთან, ასევე კერძო სექტორთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, რომ საერთო ძალისხმევით ტურისტული პროდუქტების ტრანსფორმირება მოვახდინოთ და მიზნობრივი ბაზრებიდან საქართველოში მაღალმხარჯველუნარიანი ტურისტები მოვიზიდოთ. ჩვენი მიზანია მუდმივად განვაახლოთ, გავაუმჯობესოთ საქართველოს ტურისტული პროდუქტები. ჩვენ ტექნიკურ მხარდაჭერას ვახორციელებთ, ეს მოიცავს საგრანტო პროგრამასაც. გვაქვს ჩვენ ბევრი მექანიზმი გვაქვს, რომ დავეხმაროთ ტურიზმის სექტორს.“-აცხადებს USAID-ის ეკონომიკური უსაფრთხოების პროგრამის ხელმძღვანელი მარკ მაკორდი.



the field of tourism. Mariam Kvrivishvili, Head of Administration attended the discussion of the Tourism Action Plan. “We are delighted that with the support of USAID we are launching a very important project, which involves updating the Tourism Action Plan and adapting to new challenges. In this process we work together with the private sector. We have developed a framework that will help us as a state agency, as well as tourism in the private sector, to jointly implement the action plan, which we lead our goal, which implies the development of tourism, more mkharjvelunariani tourists entering and proper positioning of the Act Uri tourist destination of international tourism in the area.”- said Mrs. Kvrivishvili. In order to provide practical advice on tourism development in Georgia and to plan specific activities, thematic groups were established within the framework of the workshops: statistics, marketing, product development and quality of service. Workshops were attended by representatives of the private and public sectors. “The goal of the USAID Security Program is to assist in the implementation of the 2020-25 Tourism Action Plan. We work with the National Tourism Administration, various government agencies as well as the private sector and NGOs to transform tourism products together and to attract high-cost tourists to Georgia from the target markets. Our goal is to constantly renew and improve our tourism products. We provide technical support, including a grant program. We have many mechanisms in place to support the tourism sector,”said Mark McCord, USAID Economic Security Program Director.

**სათამაშოების უსაფრთხოების და ხარისხის კონტროლი იწყება**

**Safety and quality control of toys begins**



სათამაშოს ბაზარზე განთავსებამდე, შეფასდება პროდუქტის უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობა - იგულისხმება სათამაშოების, როგორც ქიმიური შემადგენლობა, ისე ფიზიკური მახასიათებლები. სათამაშოების ბაზარზე ზედამხედველობა განხორციელდება, როგორც დოკუმენტური, ისე ვიზუალური და ლაბორატორიული შემოწმების გზით.

Before placing on the toy market, compliance with product safety requirements will be assessed - meaning both the chemical composition and physical characteristics of the toy. Surveillance in the toy market will be done through both

სათამაშოების უსაფრთხოების შესახებ ევროკავშირის დირექტივის შესაბამისად მომზადებული ტექნიკური რეგლამენტი საქართველოს მთავრობის სხდომაზე დამტკიცდა. სათამაშოების ზედამხედველობას მთელი საქართველოს მასშტაბით განახორციელებს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შექმნილი ბაზარზე ზედამხედველობის სააგენტო. რეკომენდაციების შესრულება სავალდებულო იქნება 2021 წლიდან. უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში განხორციელდება აღსრულებითი ზომები, რომელთა სიმკაცრე დამოკიდებულია აღმოჩენილი შეუსაბამობით გამოწვეული პოტენციური საფრთხის ზომაზე და მოიცავს სხვადასხვა სახეობის - მათ შორის მითითებას, რეალიზაციის შეჩერებას, პროდუქტის ამოღებას, გამოთხოვას, ასევე განადგურებას იმ შემთხვევაში, თუ სათამაშო შეიცავს საშიშ ქიმიურ მინარევებს.

**საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის ვიზიტი საქართველოს გენერალურ კონსულთან**



საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციის თავმჯდომარე ოსმან ჩალიშქან (მუჰაჯანაძე) 2020 წლის 11 თებერვალს ქ. ტრაპიზონში, საქართველოს გენერალურ კონსულს გელა ჯაფარიძეს შეხვდა, მიულოცა მას ახალ თანამდებობაზე დანიშნა და უსურვა წარმატებები. შეხვედრისას ისაუბრეს ერთობლივ ღონისძიებებზე და სამომავლო თანამშრომლობაზე.

**აჭარის ა.რ-ის სავაჭრო-სამრეწველო პალატის საპასუხო ვიზიტი საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციაში**



2020 წლის 7 თებერვალს საქართველოს საერთაშორისო ინვესტორთა ასოციაციას აჭარის ა.რ-ის სავაჭრო-სამრეწველო პალატის თავმჯდომარე ბ-ნი ნიკა ჩხარტიშვილი ესტუმრა. ვიზიტი საპასუხო ხასიათს ატარებდა. ასოციაციის თავმჯდომარემ, ბ-მა ოსმან მუჰაჯანაძემ ასოციაციის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა ურთიერთთანამშრომლობის, აჭარის რეგიონში ინვესტიციების ერთობლივი მოზიდვისა, სამუშაო ადგილების გაზრდისა და სამომავლო გეგმების საკითხებზე ისაუბრეს. შეხვედრის დასრულებისას, ასოციაციის თავმჯდომარემ ვიზიტისთვის სტუმარს მადლობა გადაუხადა.

**საქართველო, ბათუმი, 6010, ბაკოს ქ. 50  
ბაულ. +995 (422) 27 49 70  
www.iia.ge**

documentary, visual and laboratory testing. The technical regulation prepared in accordance with the EU Directive on Toy Safety was approved at the meeting of the Government of Georgia. Oversight of toys throughout Georgia will be carried out by the Market Oversight Agency set up by the Ministry of Economy and Sustainable Development. The implementation of the recommendations will be mandatory from 2021. In the event of a breach of security requirements enforcement measures will be implemented, the severity of which will depend on the extent of the potential threat posed by the discrepancy and include various sanctions - including indication, suspension of sale, removal of the product, withdrawal, as well as destruction if the toy contains hazardous chemicals. R. impurities.

**Visit of the International Investors Association of Georgia with the Consul General of Georgia**



Osman Chalishkan (Mzhavanadze), Chairman of the International Investors Association of Georgia, February 11, 2020 In Trabzon he met with Consul General of Georgia Gela Japaridze, congratulated him on his new appointment and wished him success. During the meeting they discussed joint activities and future cooperation.

**Visit of Chamber of Commerce and Industry of Ajara to International Investors Association of Georgia**



On February 7, 2020 Mr. Nika Chkhartishvili, Chairman of the Chamber of Commerce and Industry of Ajara visited the International Investors Association of Georgia. The visit was reciprocal. Mr. Osman Mzhavanadze, the Chairman of the Association provided information about the Association. During the meeting the sides discussed issues of cooperation, joint investment attraction in Adjara, job creation and future plans. At the end of the meeting, the Chairman of the Association thanked the guest for the visit.

**6010, 50 Baku str. Batumi, Georgia  
Tel: +995 (422) 27 49 70  
Info@iia.ge**